ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2024 წლის 17 დეკემბერი

ქ. ბაღდათი

**,,ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნას ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 აგვისტოს №72 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, 04.09.2018 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.124.016348) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

**1. პირველი მუხლი (უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 1. უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა**

საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ასანაზღაურებელი ყოველთვიური თანხა განისაზღვროს 900.00 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

**ბაღდათის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **ნოდარ გიორგიძე**